- (b) ზოგიერთ ტრანზაქციაში, კლიენტები შეიძლება აღმოჩნდნენ შეუზღუდავი რისკების წინაშე;
- (c) კლიენტებმა დეტალურად უნდა აკონტროლონ თავიანთი (კლიენტების) პოზიციები და თავისუფალი მარუები;

(d) ელექტრონული მომსახურების გამოყენებისას კლიენტებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სრულად ესმით და იაზრებენ ასეთი მომსახურების გამოყენების პირობებსა და მართვის რეჟიმს, შეკვეთის ტიპებისა და მახასიათებლების ჩათვლით.

2 კლიენტის უფლება უარის გაცხადებაზე

კლიენტებს აქვთ უფლება უარი თქვან „ფიდელისის“ პირობებზე დაახლოებით 14 დღის ვადაში იმ თარიღიდან, რომელშიც წინამდებარე პირობები პირველად შევა ძალაში / ამოქმედდება, იმის გათვალისწინებით, რომ არ შესრულებულა რაიმე სახის ტრანზაქცია ისეთ ინსტრუმენტთან დაკავშირებით, რომლის ფასი დამოკიდებულია ფინანსური ბაზრის მერყეობაზე და არ ექვემდებარება ჩვენს კონტროლს. კლიენტების უარის გაცხადების უფლების გამოსაყენებლად, კლიენტებმა ამის შესახებ უნდა გვაცნობონ წერილობითი ფორმით 14 დღის ვადაში იმ თარიღიდან, რომელშიც წინამდებარე პირობები პირველად შევა ძალაში.

3. მომსახურებები

მოცემული პირობის თანახმად, კლიენტი მოითხოვს „ფიდელისისაგან“ მის სააღრიცხვო ჟურნალში ერთი ან მეტი ანგარიშის გახსნასა და წარმოებას კლიენტის სახელით, პერიოდულად (დრო და დრო), ყველა სახის ფასიანი ქაღალდის, წინასწარი შესყიდვების და სხვა ფინანსური პროდუქტის შესყიდვის, მათში ინვესტირების, გაყიდვის, გადაცვლის თუ სხვაგვარად გაცემის და, ზოგადად, ასეთი პროდუქტით კომერციული ვაჭრობის მიზნით, წინამდებარე პირობების შესაბამისად.

„ფიდელისის“ წარმომადგენლები არ არიან უფლებამოსილნი უზრუნველყონ ინვესტიციებთან, გადასახადებთან ან სავაჭრო მომსახურებასთან დაკავშირებული კონსულტაცია ან გაყიდვების ხელშეწყობა / შეკვეთების შეთავაზება. „ფიდელისი“ ინტერნეტ-გვერდზე არაფერი არ წარმოადგენს რეკომენდაციას ან შეთავაზებას ფასიანი ქაღალდების, წინასწარი შესყიდვებისა და სხვა ინვესტიციების ყიდვა-გაყიდვასთან დაკავშირებით.

თუ „ფიდელისი“ ხელს უწყობს / მომხმარებელს სთავაზობს ყიდვას ან რეკომენდაციას უწევს ფინანსურ პროდუქტს, მაშინ ის კლიენტისათვის შესაფერისი უნდა იყოს, გონივრულობის ფარგლებში, მისი ფინანსური სიტუაციის, საინვესტიციო გამოცდილებისა და ინვესტირების მიზნების გათვალისწინებით.

„ფიდელისი“ არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტების მიერ მიღებულ ნებისმიერ საინვესტიციო გადაწყვეტილებაზე, რომელიც, ნაწილობრივ, ან მთლიანად, ეფუძნება ნებისმიერი საინვესტიციო კვლევის ანგარიშს, რეკომენდაციას ან სხვა გამოცემას / პუბლიკაციას, რომელსაც „ფიდელისი“ უგზავნის კლიენტებს. ნებისმიერი ამგვარი გამოქვეყნებული კვლევის ანგარიში ან რეკომენდაცია შეიძლება გამოჩნდეს ერთ ან მეტ საეკრანო-საინფორმაციო მომსახურებაში.

4 გარიგება „ფიდელისისა“ და კლიენტებს შორის

ტრანზაქციასთან მიმართებით, კლიენტები თავად იმოქმედებენ და არა სხვა პირის აგენტის, იურიდიული ან სხვა წარმომადგენლის სახით.

მაშასადამე, თუკი „ფიდელისი“ სხვაგვარად არ შეათანხმებს წერილობითი ფორმით, „ფიდელისი“ კლიენტებს განიხილავს თავის კლიენტებად ნებისმიერი მიზნისათვის, ხოლო კლიენტები პირდაპირ და არაპირდაპირ პასუხისმგებელნი არიან ტრანზაქციით დაკისრებულ ვალდებულებებზე.

5 აუტსორსინგი / ქვეკონტრაქტირება

კლიენტების წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურებებით უზრუნველყოფის მიზნით, „ფიდელისმა“ შეიძლება გამოიყენოს გარე მომსახურების პროვაიდერები, რომლებიც შეიძლება მოიცავდეს ასოცირებულ პირებს ან სხვა მესამე მხარეებს, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება

დაფუძნებული იყოს ან მოღვაწეობდეს ევროკავშირისა თუ ევროპის ეკონომიკური ზონის ფარგლებს გარეთ.

6 პასუხისმგებლობა კლიენტის შეკვეთებზე /გახსნილ პოზიციებზე

კლიენტები აღიარებენ და ადასტურებენ, რომ ისინი იქნებიან ერთადერთი პირები, რომლებსაც საკუთარ ანგარიშზე წვდომა ექნებათ. „ფიდელისი“ უფლებამოსილია დაეყრდნოს ყველა გაცემულ ინსტრუქციას, ან აშკარად გაცემულ ინსტრუქციას, და კლიენტების მიერ ან მათ სასარგებლოდ, კლიენტის ანგარიშის გახსნის ფორმაში ატვირთული ოფიციალური მინდობილობით განხორციელებულ ყველა ქმედებას.

კლიენტებს იურიდიული ვალდებულება ეკისრებათ ნებისმიერი ტრანზაქციით ან ნებისმიერი კომერციული გარიგებით ან სხვა ქმედებითა თუ უმოქმედობით, რომელიც უკავშირდება მათ ანგარიშებს ან ნებისმიერ ფინანსურ პროდუქტს, რომლებიც არსებობს კლიენტების სასარგებლოდ ასეთ ინსტრუქციებზე დაყრდნობით.

„ფიდელისი“ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა ისეთი ზარალისათვის, რომელიც გამომწვეულია კომპანიის მიერ ინსტრუქციების შესაბამისად ქმედების, მოქმედებისა თუ უმოქმედობის, ან კლიენტების ან მათი წარმომადგენლების (იურიდიული მინდობილობით) მხრიდან სხვაგვარი შეტყობინების მიღების შედეგად.

7 შეკვეთის გადამისამართება

„ფიდელისი“ შეარჩევს ბაზარს / დილერს, რომლებსაც გადაუმისამართებს კლიენტების დაკვეთებს. თუ კლიენტები შეკვეთებს მიმართავენ კონკრეტულ ბაზრებზე, მაშინ კლიენტებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა იმ ბაზარზე მოქმედი წესებისა და პოლიტიკის ცოდნასა და შესაბამისად მოქმედებაზე.

8 დაკვეთის შესრულება

„ფიდელისი“ აღასრულებს კლიენტების დაკვეთებს, როგორც აგენტი; „ფიდელისი“ შეუძლია შეასრულოს კლიენტების დაკვეთები, როგორც მრწამსმცემელი.

„ფიდელისმა“ შესაძლოა უარი განაცხადოს კლიენტების ნებისმიერ დაკვეთაზე ან შეწყვიტოს კლიენტების მიერ „ფიდელისის“ მომსახურების გამოყენება ნებისმიერ დროს, „ფიდელისი“ დისკრეციული უფლებით. ყველა ტრანზაქცია ექვემდებარე შესაბამისი ბაზრებისა და საბანკო ანგარიშსწორების პალატის წესებსა და პოლიტიკას, ასევე, მოქმედ კანონსა და რეგულაციებს. „ფიდელისი“ არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი სავალუტო ბირჟის, ბაზრის, დილერის, საბანკო ანგარიშსწორების პალატისა თუ მარეგულირებლის ნებისმიერ ქმედებასა თუ გადანაცვებილებზე.

9 დაკვეთის გაუქმება / მოდიფიკაცია

კლიენტები აღიარებენ, რომ დასაშვებია ისეთი შემთხვევა, როდესაც შეუძლებელია ნებისმიერი დაკვეთის გაუქმება / მოდიფიკაცია და რომ კლიენტები არიან პასუხისმგებელი შესაფერისი ქმედებების განხორციელებაზე მიუხედავად გაუქმების / მოდიფიკაციის მოთხოვნისა.

10 მარჟის შეთანხმებები

მარჟით ვაჭრობა მაღალი რისკის შემცველია და შეიძლება დასრულდეს უფრო დიდი ოდენობით თანხის დანაკარგით, ვიდრე კლიენტებმა განათავსეს დეპოზიტის სახით ანგარიშზე. მარჟის მოთხოვნა შეიძლება ფიქსირებული ოდენობა იყოს ან პერიოდულად სხვაობდეს ტრანზაქციის ღირებულების ცვლასთან

ერთად. „ფიდელისი“ უფლებამოსილია დააწესოს მარჟის ახალი მოთხოვნები როგორც ახალ პოზიციებზე, ისე, უკვე გახსნილ პოზიციებზეც. თუ, ნებისმიერ დროს, გაჩნდება მარჟის დეფიციტი კლიენტების ანგარიშზე, ანუ, თუ კლიენტების თავისუფალი მარჟა ზემოხსენებულ ანგარიშზე უარყოფითია, მაშინ, ჩვენთან კლიენტების მიერ გახსნილ ნებისმიერ სხვა ანგარიშზე არსებული მარჟის პოზიციის მიუხედავად, „ფიდელისი“ ექნება უფლება, მაგრამ არა ვალდებულია, კლიენტებისათვის წინასწარი შეტყობინების გარეშე, დახუროს კლიენტების ყველა ღია ტრანზაქცია მოცემულ ანგარიშზე ან კონკრეტული კლიენტების ჩვენთან გახსნილ ყველა სხვა ანგარიშზე, რაც შეგვიძლია განვახორციელოთ ჩვენი ერთპიროვნული დისკრეციის ფარგლებში, მოცემული დროისათვის, ერთი სამუშაო დღის ვადაში.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ კლიენტების ღია ტრანზაქციების დახურვის უფლება, როგორც ზემოთ არის აღწერილი, შეიძლება გამოყენებული იქნას იმის მიუხედავად, რომ „ფიდელისის“ მიერ ამ კონკრეტული უფლების გამოყენების დროს არ არსებობდეს მარჟის დეფიციტი.

„ფიდელისისაგან“ სხვაგვარი თანხმობის მიღების შემთხვევის გარდა, ყველა მარჟა უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნაღდი ფულით.

თუ ნაღდი ფულის ანგარიში განიცდის დეფიციტს, მაშინ მარჟის საპროცენტო განაკვეთი დაწესდება და იმოქმედებს ბალანსის სრულად გადახდამდე, ხოლო „ფიდელისი“ აქვს უფლება, მაგრამ არა ვალდებულია, განიხილოს / მოეპყროს ანგარიშს, როგორც მარჟით დატვირთულ ანგარიშს.

11 სასაქონლო ოფციონები და წინასწარი შესყიდვები უნაღდო ანგარიშსწორებით

კლიენტები აღიარებენ, რომ სასაქონლო ოფციონები არ შეიძლება რეალიზდეს და უნდა ამოიყდოს კომპენსაციის სახით. წინასწარი შესყიდვების ხელშეკრულებებისათვის, რომლებიც ექვემდებარება არა ნაღდი ფულით, არამედ ქონების ფიზიკური გადაცემით ანგარიშსწორებას, კლიენტებს არ შეუძლიათ გადაცემის განხორციელება ან მიღება. „ფიდელისი“ უფლებამოსილია მოახდინოს შესყიდვით პოზიციის დახურვა ან ლიკვიდირება თუ კლიენტები არ უზრუნველყოფენ რაიმე სახის ინსტრუქციებს.

12 კომუნიკაციის ფორმები

კლიენტებს შეუძლიათ „ფიდელისთვის შეკვეთის“ გადაცემა ტელეფონის საშუალებით, ჩვენი სავაჭრო პერსონალის წევრთან დაკავშირებით ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილ ტელეფონის ნომერზე ან შიდა სატელეფონო ნომერზე (გადამისამართებით); ასევე, დაკავშირება შესაძლებელია ელექტრონული ფორმით ელექტრონული მომსახურების საშუალებით და არავითარი სხვა ფორმით. კლიენტი თანხმდება ყველა სატელეფონო საუბრის ჩანერის პირობას.

სხვა შემთხვევებში, კლიენტებს ჩვენთან კომუნიკაცია შეუძლიათ:

(a) წერილობით, ელ-ფოსტის გაგზავნით ელექტრონული ფოსტის ამ მიზნისათვის განსაზღვრულ მისამართზე;

ან ელექტრონული ფორმით, ელექტრონული მომსახურების საშუალებით, ამ მიზნისათვის განსაზღვრული საშუალებების გამოყენებით.

(b) ზეპირსიტყვიერად, სატელეფონო საუბრის ჩათვლით, ამ მიზნისათვის სპეციალურად გამოყოფილ ტელეფონის ნომერზე დაკავშირებით.

კლიენტები გვანიჭებენ კლიენტების ანგარიშთან დაკავშირებული საკითხების თაობაზე მათთან (კლიენტებთან) ყოველთვის და ნებისმიერ დროს დაკავშირების / კომუნიკაციის უფლებას.

„ფიდელისმა“ კლიენტებთან კომუნიკაცია შეიძლება წარმართოს ტელეფონის, წერილის, ელ-ფოსტისა და ელექტრონული მომსახურების გამოყენებით.

„ფიდელისი“ გამოიყენებს კლიენტების ანგარიშის გახსნის აპლიკაციაში მითითებულ, ან შემდგომში, ასეთი შესწორებებისათვის ჩვენ მიერ დადგენილი პროცედურის შესაბამისად, თავად კლიენტის მიერ ჩვენთვის შეტყობინებულ მისამართს ან ელ-ფოსტის მისამართს. კლიენტები თანხმდებიან / კისრულობენ ასეთი ცვლილების შესახებ „ფიდელისის“ დაუყოვნებლივ გაფრთხილების ვალდებულებას.

კლიენტები კონკრეტულად აცხადებენ თანხმობას ჩვენი მხრიდან დოკუმენტებისა და შეტყობინებების, მათ შორის, წინამდებარე პირობებში შეტანილი ცვლილებების შესახებ შეტყობინების მიღების თაობაზე, ელექტრონული ფორმით, რაც გულისხმობს ელ-ფოსტას ან ელექტრონულ მომსახურებას. კლიენტებს ეკისრებათ კლიენტების ელ-ფოსტის მისამართის ნებისმიერი ცვლილების, დასტურის არ მიღების ან არამართებული / არასწორი დადასტურების თაობაზე ჩვენი გაფრთხილების პასუხისმგებლობა გარიგებამდე / ანგარიშსწორებამდე.

ჩვენ მიერ წარმოებული კომუნიკაცია კლიენტებთან განხორციელებულად ჩაითვლება:

ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, გაგზავნიდან ერთი სამუშაო დღის გასვლის შემდგომ;

კურიერის საშუალებით გაგზავნისას, კლიენტების მისამართზე დატოვებისთანავე;

ფაქსით ან ტექსტური შეტყობინებით გაგზავნისას, მისი გადაცემისთანავე; ელ-ფოსტით გაგზავნის შემთხვევაში, ელ-ფოსტით შესაბამისი შეტყობინების გაგზავნიდან ერთი საათის გასვლის შემდგომ.

კლიენტები აცხადებენ თანხმობას, რომ „ფიდელისი“ უფლებამოსილია ჩაინეროს კლიენტებსა და ჩვენს შორის განხორციელებული ნებისმიერი სატელეფონო საუბარი. ნებისმიერი ჩანაწერი იქნება და დარჩება მხოლოდ და მხოლოდ ჩვენს საკუთრებაში და მიღებული იქნება კლიენტების მიერ, როგორც შესაბამისი შეკვეთის ან ამგვარად ჩანერილი საუბრის შემაჯამებელი სამხილი.

კლიენტები აცხადებენ თანხმობას, რომ კომპანიას უფლება აქვს ამგვარი ჩანაწერების ასლები ან წერილობითი ასლები წარუდგინოს სასამართლოს, მარეგულირებელ ან სამთავრობო ორგანოს.

12b ელექტრონული ჩანაწერებისა და კომუნიკაციის მიღებაზე თანხმობის გაცხადება

„ფიდელისი“ უზრუნველყოფს ელექტრონული ვაჭრობის დადასტურებას, ანგარიშის ამონაწერს და კლიენტების სხვა ჩანაწერებსა და კომუნიკაციას ელექტრონული ფორმით. ამ პირობებზე დათანხმებით, კლიენტები აცხადებენ ელექტრონული ჩანაწერებისა და კომუნიკაციის მიღებაზე თანხმობას: ასეთი თანხმობა იმოქმედებს უწყვეტად. კლიენტებმა შეიძლება უარი განაცხადონ ასეთ თანხმობაზე ნებისმიერ დროს, ამის თაობაზე წინასწარ წერილობით შეტყობინების საფუძველზე.

13 მონაცემთა დაცვა და კლიენტის ინფორმაციის კონფიდენციალობა

ქვემოთ მოცემულის თანახმად, „ფიდელისი“ მის მფლობელობაში მყოფ მთელ ინფორმაციას კლიენტების შესახებ მოეპყრობა, როგორც პირადსა და კონფიდენციალურს, მაშინაც კი, როდესაც კონკრეტული კლიენტები აღარ იქნებიან კლიენტები. თუმცა, კლიენტები აცხადებენ თანხმობას, რომ „ფიდელისისა“ და ჯგუფის სხვა კომპანიებს შეუძლიათ:

(a) გამოიყენონ კლიენტების ინფორმაცია კლიენტების ანგარიშის მართვისა და ადმინისტრირებისათვის, მისი მოქმედების მეთვალყურეობა-ანალიზისათვის, კლიენტებისათვის მომსახურების მისაწოდებლად, ნებისმიერი საკრედიტო ლიმიტის ან სხვა საკრედიტო გადანაცვებების შესაფასებლად (საპროცენტო განაკვეთი, მოსაკრებლები და სხვა ხარჯები, რომლებიც იმოქმედებს კლიენტების ანგარიშზე) და ჩვენთვის სტატისტიკური და სხვა სახის ანალიზის ჩატარების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად;

(b) გაუმჟღავნონ კლიენტების ინფორმაცია ჯგუფის სხვა კომპანიებს; იმათ, ვინც მომსახურებას აწვდის „ფიდელისის“ ან მოქმედებს, როგორც „ფიდელისის“ აგენტი; ნებისმიერი, ვისაც „ფიდელისი“ გადასცემს ან აპირებს გადასცეს ნებისმიერი მისი უფლება ან ვალდებულება წინამდებარე პირობების შესაბამისად; რეფერენციულ სააგენტოებსა თუ სხვა ორგანიზაციებს, რომლებიც გვეხმარებიან ჩვენ და სხვებს

საკრედიტო გადანაცვლებების მიღებაში და გაყალბების დონის შემცირებაში ან იდენტობის, გაყალბების პრევენციის ან საკრედიტო საკონტროლო შემოწმებების პროცესის ჩატარებაში; ინფორმაცია გამჟღავნდება, ასევე, როცა კი „ფიდელის“ მოთხოვნა ამგვარი ქმედება მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, საჯარო ვალდებულება ან ჩვენივე ინტერესები მოითხოვს გამჟღავნებას, ასეთი ქმედება მოითხოვება თავად კლიენტების მიერ ან კლიენტების თანხმობით (საერთო ანგარიშის შემთხვევაში, „ფიდელის“ შეუძლია ნებისმიერ კლიენტს გაუმჟღავნოს სხვა ნებისმიერი კლიენტისაგან მიღებული ინფორმაცია, რომელიც მოცემულ ანგარიშს უკავშირდება);

(c) კლიენტების ინფორმაციის გადაცემა შესაბამისი სავალუტო ბირჟისთვის, საბანკო ანგარიშსწორების პალატისა თუ მარეგულირებელი ორგანოსთვის;

(d) კლიენტების ინფორმაციის გადაცემა, მოცემულ მუხლში აღწერილი ნებისმიერი მიზნით, ნებისმიერი ქვეყნისთვის, მათ შორის, ევროპული ეკონომიკური ზონის გარეთ მდებარე ქვეყნებისათვის, რომლებსაც შეიძლება არ ჰქონდეთ მონაცემთა დაცვის ეფექტური / მკაცრი კანონები.

14 საბაზო ვალუტა

კლიენტების ანგარიშის საბაზო ვალუტა იქნება ერთ-ერთი შემდეგთაგან: გაერთიანებული სამეფოს ფუნტი, აშშ დოლარი ან ევროკავშირის ევრო, კლიენტებსა და „ფიდელის“ შორის შეთანხმების შესაბამისად.

15 კლიენტების კვალიფიკაცია

კლიენტები უზრუნველყოფენ / გარანტიას იძლევიან, რომ ინფორმაცია, რომელიც მონოდება მათ აპლიკაციაში ჭეშმარიტი და სრულია და ისინი დაუყოვნებლივ შეატყობინებენ „ფიდელის“ ინფორმაციის ნებისმიერი ცვლილების თაობაზე.

ფიზიკური პირი:

კლიენტები იძლევიან გარანტიას, რომ ისინი არიან 28 წელზე დიდი ასაკის, არ იმყოფებიან რაიმე სახის იურიდიული ქმედუნარიანობის შეზღუდვის ქვეშ და ფლობენ საკმარის ცოდნა-გამოცდილებას სავაჭრო პროდუქტის რისკისა და ბუნების გასააზრებლად.

ორგანიზაციები:

კლიენტები და მათი შესაფერისად უფლებამოსილი წარმომადგენლები გარანტიას იძლევიან, რომ:

- I. ისინი აღჭურვილნი არიან შესაბამისი უფლებამოსილებით მათივე მმართველი დოკუმენტაციისა და იმ იურისდიქციის შესაბამისად, რომელშიც ორგანიზებული და / ან რეგულირებულია ბიზნესისა და ვაჭრობის პირობებში მონაწილეობისათვის;
- II. არ იმყოფებიან იურიდიული ქმედუნარიანობის შეზღუდვის ქვეშ;
- III. შეკვეთებში მონაწილეობისათვის იდენტიფიცირებული პირები ფლობენ შესაბამის უფლებამოსილებას და საკმარის ცოდნა-გამოცდილებას სავაჭრო პროდუქტის რისკისა და ბუნების გასააზრებლად.

16 ფასიანი ქაღალდებისა და კლიენტის ფინანსების უსაფრთხოების უზრუნველყოფა

კლიენტები ნიშნავენ „ფიდელის“ კლიენტების ფასიანი ქაღალდებზე მეურვედ. კლიენტები აცხადებენ თანხმობას რომ გირავნობით არ დატვირთავენ, დაბეგრავენ, გაყიდონ ან გადასცემენ „ფიდელისათვის“ მინდობილი ნებისმიერი ფასიანი ქაღალდის ოფციონს, „ფიდელისისაგან“ წინასწარი თანხმობის გარეშე.

საქართველოს კანონის თანახმად, ნებისმიერი ფასიანი ქაღალდი, რომელიც გადაცემულია „ფიდელისთვის“ კლიენტების სასარგებლოდ მისი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, განთავსდება / დეპოზიტირდება უსაფრთხო მეურვეობაში ცალკე გამოყოფილ ანგარიშზე ავტორიზებულ ფინანსურ ინსტიტუტში ან სხვა ლიცენზირებულ შუამავალ დანესებულებაში.

შპს „ფიდელის ველს მენეჯმენტი“

17 პროცენტი

„ფიდელისი“ კლიენტებს არ გადაუხდის პროცენტს იმ ნებისმიერი თანხიდან, რომელიც მას გადაეცემა კლიენტების მხრიდან.

18 ღირებულება და ხარჯები

კლიენტები დაფარავენ ჩვენ მიერ გაწეულ ხარჯებს იმის მიხედვით, როგორც ეცნობებათ კლიენტებს პერიოდულად, ნებისმიერ გადასახადს, რომელიც დაგვეკისრება ნებისმიერი კომპეტენტური ორგანოს (დანესებულების) მიერ ნებისმიერ გახსნილ ანგარიშზე ან ტრანზაქციაზე, რომელიც განხორციელდება ან გადაიხდება (ანგარიშსწორება) კლიენტების სასარგებლოდ;

- I. ნებისმიერი საკომისიო / მოსაკრებელი ან სხვა გადასახადი, რომელიც დანესებული ბაზრის ან ნებისმიერი საბანკო ანგარიშსწორების ორგანიზაციის მიერ;
- II. „ფიდელისათვის“ გადასახდელ ნებისმიერ თანხაზე დარიცხული პროცენტი;
- III. და ნებისმიერი სხვა დამატებითი ღირებულების ან სხვა მოქმედი გადასახადი ზემოხსენებულთან დაკავშირებით, თანხის გამოტანის გადასახადის ჩათვლით. „ფიდელისი“ კლიენტებს შეატყობინებს მიმდინარე დავალიანების შესახებ.

ნებისმიერი ცვლილება დავალიანებაში კლიენტებს ეცნობებათ ასეთი ცვლილების მოხდენის დრომდე.

გემოთ აღწერილი ხარჯების გარდა, კლიენტებს შეიძლება მოუწიოთ დამატებითი ხარჯის გაღება / გადასახადის გადახდა იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ წინამდებარე პირობები და ტრანზაქციები შესაძლებელია ძალაში შევიდეს ელ-ფოსტის ან ტელეფონის ან სხვა დისტანციური მექანიზმების გამოყენებით.

წინამდებარე პირობებით „ფიდელისისთვის“ გადასახდელი ნებისმიერი თანხის გადახდა უნდა მოხდეს დაუყოვნებლივ, ჩვენი მოთხოვნისთანავე.

„ფიდელისი“ უფლებამოსილია გამოქვითოს ან დააკავოს გარკვეული ოდენობა წინამდებარე პირობების შესაბამისად გადახდილი ნებისმიერი გადასახადიდან ან კლიენტების ანგარიშზე კრედიტის სახით განთავსებული თანხიდან, ასევე, ნებისმიერი გადასახადი, რომლის დაკავება-გამოქვითვა კანონით მოითხოვება ასეთი გადახდიდან ან კრედიტიდან. კლიენტები უნდა აცნობიერებდნენ შესაძლებლობას, რომ არსებობს სხვა გადასახადები ან ხარჯები, რომლებიც არ იხდება ჩვენი საშუალებით ან არ გვეკისრებათ ჩვენი მხრიდან. კლიენტებზე დაკისრებული გადასახადის მართვა / მოპყრობა შეიძლება სხვაობდეს კლიენტების პირადი მდგომარეობისა და კლიენტების იურისდიქციაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით (რომელიც შეიძლება შეიცვალოს).

19 გადახდა და თანხის განაღდება

კლიენტები პასუხისმგებელნი არიან ჩვენთვის გადახდების განხორციელებაზე, რომლებიც მოითხოვება, პერიოდულად, წინამდებარე პირობების შესაბამისად ან მოქმედი კანონებისა და რეგულაციების თანახმად, მათ შორის, ნებისმიერი იმ გადახდის ჩათვლით, რომელიც საჭიროა შემდეგისათვის:

- (a) ანგარიშის ღირებულება აღემატებოდა კლიენტების ღია პოზიციებისათვის დანესებულ მარჟის მოთხოვნებით მითითებულ თანხას;
- (b) ანგარიშის ნებისმიერი უარყოფითი ღირებულების გადასაფარად;

(c) „ფიდელისის“ მიმართ არსებული ნებისმიერი ვალის დასაფარად, მათ შორის, დაფინანსების ხარჯებთან დაკავშირებული დავალიანების ჩათვლით.

„ფიდელისმა“ შეიძლება არ მიიღოს / უარი განაცხადოს ნებისმიერ გადახდაზე, რომელიც არ განხორციელდება წინამდებარე პირობებისა და მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად.

გადახდები მიღებული იქნება კლიენტებისაგან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი ხორციელდება კლიენტების სახელზე მოქმედი საბანკო ანგარიშიდან, ხოლო გადახდის წამომწყები არის თავად კლიენტი. ნებისმიერი შეუსაბამობის შემთხვევაში კლიენტების სახელსა (სახელი, რომელიც ჩვენთვის მოწოდებულია კლიენტების მიერ) და წყარო ანგარიშზე დაფიქსირებულ სახელს შორის, რომლისგანაც გადახდაა წამომწყებული, გადახდა შეიძლება უარყოფილი იქნას და თანხა დაბრუნდეს წყარო ანგარიშზე.

ნებისმიერ შემთხვევაში, გადახდა „ფიდელისის“ მიერ მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როგორც კი ფული მიღებული იქნება, როგორც ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხა.

კლიენტები პასუხისმგებელნი არიან ნებისმიერ ხარჯზე, რომლებსაც განევენ კლიენტების ანგარიშზე ნებისმიერი გადახდის განხორციელების პროცესში (მაგ. ტრანზაქციის ხარჯები). თუ კლიენტები განახორციელებენ გადახდას სადებეტო ბარათით ან საკრედიტო ბარათით ან გამოიტანენ თანხას კლიენტების ანგარიშიდან, „ფიდელისმა“ შეიძლება დაანესოს ადმინისტრაციული მოსაკრებელი / გადასახადი კლიენტების გადახდის დამუშავებისათვის.

20 დაქვითვის უფლება

„ფიდელისმა“ შეიძლება დაქვითოს გარკვეული რაოდენობა კლიენტების ნებისმიერი თანხიდან, წინამდებარე პირობების შესაბამისად „ფიდელისათვის გადასახდელი ნებისმიერი თანხის დასაფარად ან მოქმედი კანონებისა და რეგულაციების მოთხოვნის შესაბამისად (საგადასახადო მიზნების ჩათვლით).

21 ანგარიშის ოპერირება: უსაფრთხოება და ანგარიშის ავთენტურობა

კლიენტების პასუხისმგებლობაა კლიენტების ანგარიშთან დაკავშირებული კლიენტების მთელი ინფორმაციის, მათ შორის, ავტორიზაციის / სისტემაში შესვლასთან დაკავშირებული ნებისმიერი და ყველა დეტალის, პაროლისა და უსაფრთხოების პასუხების, ასევე, „ფიდელისის“ მიერ კლიენტებისათვის გაგზავნილი წერილებისა და ელ-ფოსტის კონფიდენციალობის უწყვეტად უზრუნველყოფა ნებისმიერ დროს.

22 საბაზრო ან რეგულაციური ქმედება

თუ ბაზარი (ან შუამავალი ბროკერი ან აგენტი, რომელიც მოქმედებს ბაზრის მიმართულების ან ბაზრის მიერ განხორციელებული ქმედების შესაბამისად) ან მარეგულირებელი ორგანო განახორციელებს ნებისმიერ ქმედებას, რომელიც გავლენას მოახდენს ტრანზაქციაზე, მაშინ „ფიდელისმა“ შეიძლება მიიღოს ნებისმიერი ზომა, რომელსაც „ფიდელისი“ საჭიროდ ჩათვლის ჩვენი გონივრული დისკრეციის ფარგლებში, იქნება ეს ზემოხსენებულ ქმედებასთან შესაბამისობა თუ ნებისმიერი იმ დანაკარგის ან პოტენციური დანაკარგის შერბილება, რომელიც შეიძლება „ფიდელისმა“ მიადგეს ზემოხსენებული ქმედების განხორციელების შედეგად. ნებისმიერი ასეთი ქმედება კლიენტებისათვის იურიდიული ვალდებულებას წარმოადგენს. თუ ბაზარი ან მარეგულირებელი ორგანო ჩაატარებს გამოკითხვას კლიენტების ნებისმიერ ტრანზაქციასთან დაკავშირებით, კლიენტები თანხმობას აცხადებენ ჩვენთან თანამშრომლობაზე და ასეთ გამოკითხვასთან დაკავშირებით მოთხოვნილი ნებისმიერი ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდებაზე.

23 შეცდომები

გარდა თაღლითური ქმედების შემთხვევისა, კლიენტების შეუმჩნევლად, კლიენტების გარდა სხვა პირის მიერ, „ფიდელისი“ არ კისრულობს პასუხისმგებლობას ნებისმიერი დანაკარგისა თუ ზიანზე, რომელსაც განიცდიან კლიენტები კლიენტების მიერ იმ თანხის გამოყენების შედეგად, რომელიც განთავსებულია ან კრედიტის სახით დევს კლიენტების ანგარიშზე, ჩვენ მიერ ან ჩვენს სასარგებლოდ დაშვებული შეცდომის შედეგად.

24 წესები და კანონი

წინამდებარე საქმიანობის პირობების ფარგლებში ყველა ტრანზაქცია დაექვემდებარება კონსტიტუციის წესებს, რეგულაციებს, ჩვეულებებს, გამოყენებას, დადგენილებას, რომლებიც ძალაშია საერთაშორისო ბაზრებზე.

25 ფორს მაჟორი

ფორს მაჟორის მოვლენა არის გადაუდებელი ან განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც არ ექვემდებარება ჩვენს კონტროლს და ჩვენთვის შეუძლებელს ხდის წინამდებარე ხელშეკრულებასთან შესაბამისობას.

თუ „ფიდელისი“, გონივრულობის ფარგლებში, დაასკვნის, რომ ადგილი აქვს და ადგილი ჰქონდა ფორს მაჟორის მოვლენას, მაშინ „ფიდელისი“ შეუძლია შეწყვიტოს, შეაჩეროს ან შეზღუდოს ჩვენი მომსახურების ან მისი ნებისმიერი კომპონენტის მიწოდება ან შეცვალოს ტრანზაქციის პირობები.

26 მომხმარებლის გარდაცვალება

„ფიდელისი“ აღმსრულებლებს შეატყობინებს ანგარიშის ღირებულების შესახებ გარდაცვალების თარიღში და უზრუნველყოფს ყველა სხვა მოთხოვნილ ინფორმაციას იმ ფარგლებში, რომელიც შეესაბამება ჩვენს მიერ ნაკისრ ვალდებულებებს. „ფიდელისი“ არ შეუძლია მიიღოს ინსტრუქციები მომხმარებლის გარდაცვალების შემდგომ, სანამ „ფიდელისი“ არ მიიღებს იურიდიულად დამოწმებული ანდერძის დაბეჭდილ ასლს. საერთო ანგარიშის მონაწილე ერთ-ერთი მხარის გარდაცვალების შემთხვევაში, გთხოვთ დაუყოვნებლივ გაგვაფრთხილოთ ამის თაობაზე.

27 დეფოლტის შემთხვევები

დეფოლტის შემთხვევა წარმოიშობა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების (და არა მხოლოდ) დადგომის ან მათი დადგომის შესახებ გონივრული ვარაუდის არსებობის შემთხვევებში¹:

ა) კლიენტები ვერ ახორციელებენ ნებისმიერ სავალდებულო გადახდას წინამდებარე პირობების ნებისმიერი მოთხოვნით დაწესებულ დროს ან ვერ უზრუნველყოფენ წინამდებარე პირობებით დაწესებულ დროს ნებისმიერი საქონლის / ქონების მიღება-ჩაბარებას / მიწოდებას / მიღებას ან ვერ იცავენ ან ასრულებენ წინამდებარე პირობების რომელიმე მოთხოვნას; ან სხვაგვარად ვერ ასრულებენ „ფიდელისისადმი“ ნაკისრ ვალდებულებებს;

(ბ) კლიენტებმა წამოიწყეს კლიენტებთან ან კლიენტების ვალებთან დაკავშირებული ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, კრედიტორებთან კომპრომისული შეთანხმების, ანგარიშების გაყინვის თუ მორატორიუმის, ან სხვა მსგავსი ფინანსური შერაზების მიზნით ნებისმიერი ნებაყოფლობითი აქტი თუ სხვა პროცედურა, გაბანკროტების, ვალაუვალობის, მარეგულირებელი, სამეთვალყურეო თუ სხვა მსგავსი კანონის ფარგლებში (მათ შორის, ნებისმიერი კოპორაციული ან სხვა კანონის თანახმად, რომელიც პოტენციურად მოქმედებს კლიენტებზე, მათი გადახდისუნარიანობის / ვალაუვალობის შემთხვევაში);

¹ ორიგინალში აზრი ბუნდოვანია. გადამოწმება სჭირდება (მთარგმნ.)

- (c) არანებაყოფლობითი აქტი ან სხვა პროცედურა წამოწყებულია კლიენტების წინააღმდეგ, კლიენტებთან ან კლიენტების ვალეებთან დაკავშირებული ლიკვიდაციის, რეორგანიზაციის, კრედიტორებთან კომპრომისული შეთანხმების, ანგარიშების გაყინვის თუ მორატორიუმის, ან სხვა მსგავსი ფინანსური შერბილების მიზნით ნებისმიერი ნებაყოფლობითი აქტი თუ სხვა პროცედურა, გაბანკროტების, ვალაუვალობის, მარეგულირებელი, სამეთვალყურეო თუ სხვა მსგავსი კანონის ფარგლებში (მათ შორის, ნებისმიერი კოპორაციული ან სხვა კანონის თანახმად, რომელიც პოტენციურად მოქმედებს კლიენტებზე, მათი გადახდისუნარიობის / ვალაუვალობის შემთხვევაში);
- (d) კლიენტები გარდაიცვალნენ, აღარ იმყოფებიან საღ გონებაზე, არ შეუძლიათ კლიენტებზე დაკისრებული ვალის გადახდა საჭიროებისამებრ (საჭირო დროს და საჭირო ოდენობით) ან ცხადდებიან ბანკროტებად ან გადახდისუნაროებად, როგორც განმარტებულია კლიენტებზე მოქმედი გაბანკროტებასთან ან ვალაუვალობასთან დაკავშირებული კანონით;
- (f) კლიენტები ექვემდებარებიან დაშლას ან თუ კლიენტები არსებობის უნარი დამოკიდებულია ოფიციალურ რეესტრში გაკეთებულ ჩანაწერზე, ასეთი ჩანაწერი / რეგისტრაცია გაუქმებული ან ამოწურულია, ან ნებისმიერი პროცედურა წამოწყებულია კლიენტების ლიკვიდირება-დაშლის, ასეთი რეესტრიდან ამოშლის ან შესაბამისი რეგისტრაციის გაუქმების მიზნით / შეთავაზებით;
- (i) როცა „ფიდელისი“ აუცილებლად ან სასურველად მიიჩნევა იმის თავიდან არიდებას, რაც „ფიდელისის“ შეხედულებით, არის ან შეიძლება იყოს ნებისმიერი მოქმედი კანონის და რეგულაციის ან ბაზრის პრაქტიკის კარგი სტანდარტის დარღვევა;
- (j) როცა „ფიდელისი“ საჭიროდ ან სასურველად მიიჩნევა ასეთ ქმედებას ჩვენივე კომპანიის ან ნებისმიერი თუ ყველა ჩვენი კლიენტის დასაცავად.

28 დეფოლტის უფლება

დეფოლტის ან პოტენციური დეფოლტის შემთხვევის მოხდენისას და ნებისმიერ დროს ამის შემდგომ, გარდა იმ ნებისმიერი უფლებისა, რომელიც „ფიდელისი“ შეიძლება ჰქონდეს წინამდებარე პირობებით ან სხვაგვარად, „ფიდელისი“ უფლებამოსილი იქნება, ნებისმიერ დროს, კლიენტების წინასწარ გაფრთხილების გარეშე:

- (a) დახუროს ან ნაწილობრივ დახუროს კლიენტების ყველა ან ნებისმიერი ერთი ტრანზაქცია; ან იყიდოს, გაყიდოს, გაასესხოს ან ისესხოს ან ჩაერთოს ნებისმიერ სხვა ტრანზაქციაში ან განახორციელოს ან თავი შეიკავოს ისეთი სხვა ქმედების განხორციელებისაგან ისეთ დროს ან ისეთი ფორმით, როგორც, ჩვენი ერთპიროვნული დისკრეციის ფარგლებში, „ფიდელისი“ ჩათვლის საჭიროდ ან შესაფერისად ჩვენი დანაკარგის, ვალის ან რისკის შესამცირებლად ან აღმოსაფხვრელად, კლიენტებთან ნებისმიერი ხელშეკრულების, პოზიციის ან ვალდებულების ფარგლებში ან ნებისმიერ ხელშეკრულებასთან მიმართებით; და / ან
- (b) დახუროს კლიენტების რომელიმე ნებისმიერი ან ყველა ანგარიში ჩვენთან და / ან უარი თქვას კლიენტებთან მომავალში ნებისმიერი ტრანზაქციაში მონაწილეობაზე; და / ან
- (c) კლიენტებისათვის შესაბამის (კლიენტების) ანგარიშზე კრედიტის სახით განთავსებული თანხის ეკვივალენტური ინვესტიციების დაბრუნების ნაცვლად, გადაუხადოს კლიენტებს ასეთი ინვესტიციების შესაბამისი სრული საბაზრო ფასი, რომელიც იმოქმედებს „ფიდელისის“ მიერ ასეთი უფლების გამოყენების მომენტში; და / ან
- (d) კლიენტების ისეთი ინვესტიციების გაყიდვა, რომლებიც ჩვენს მფლობელობაშია ან წინამდებარე პირობებით ან ამ პირობების ფარგლებში დანიშნული ნებისმიერი მინდობილობის მქონე პირის ან მესამე მხარის მფლობელობაში; ნებისმიერ შემთხვევაში, „ფიდელისი“ შეუძლია, ჩვენი სრული დისკრეციის ფარგლებში, შეარჩიოს ან / და ისეთი პირობებით, როგორც „ფიდელისმა“, ჩვენი სრული დისკრეციის ფარგლებში, შესაფერისად მიიჩნიოს (ზარალზე ან ფასის შემცირებაზე პასუხისმგებლობის დაკისრების

გარეშე) იმისათვის, რომ მოხდეს წინამდებარე ხელშეკრულებით *კლიენტების* მიერ ნაკისრი ნებისმიერი გადასახდელი თანხის დასაფარად საჭირო ოდენობის (ფინანსების) რეალიზება; და / ან

(e) *კლიენტების* ნებისმიერი ქონების დაკავება ან შენარჩუნება, მათ შორის ფულის, 10 სამუშაო დღის განმავლობაში ან უფრო დიდი ხნით, როგორც „ფიდელისი“ ჩათვლის მიზანშეწონილად, გონივრულობის ფარგლებში; ამ პერიოდში „ფიდელისმა“ შეიძლება განახორციელოს გამოძიება / გამოკითხვა დეფოლტის ან პოტენციური დეფოლტის შემთხვევის ბუნებასთან ან მდგომარეობასთან დაკავშირებით და არ დაეკისრება *კლიენტებისადმი* დეფოლტის ან პოტენციური დეფოლტის შემთხვევის ბუნების განმარტების ვალდებულება.

29 დეფოლტის გარეშე შეწყვეტა

თუ არ მოითხოვება მოქმედი კანონებითა და რეგულაციებით, ნებისმიერ მხარეს შეუძლია შეწყვიტოს წინამდებარე *პირობები* მეორე მხარისათვის ამის თაობაზე წერილობით შეტყობინებით.

შეწყვეტის შემთხვევაში „ფიდელისი“ დახურავს *კლიენტების* ყველა *ტრანზაქციას* და *კლიენტების* მიერ ჩვენთვის გადასახდელი მთელი თანხა დაუყოვნებლივ გადასახდელი გახდება შემდეგის ჩათვლით (და არა მხოლოდ):

(a) ყველა გადაუხდელი გადასახადი და საკომისიო; და

(b) გარიგების ნებისმიერი ხარჯი, რომელიც დაგვეკისრა წინამდებარე *პირობების* შეწყვეტით; და

(c) ნებისმიერი დანაკარგი და ხარჯი, რომელიც რეალიზდება ნებისმიერი *ტრანზაქციის* დახურვით ან შეუსრულებელი ვალდებულებების გასწორება-დასრულებით, რომელიც ჩვენ ვიკისრეთ *კლიენტის* სასარგებლოდ.

შეწყვეტა არ იმოქმედებს იმ დროისათვის მოქმედ უფლებებსა და ვალდებულებებზე (არც კონკრეტულად დეფოლტის, *გამონაკლისების*, *ვალდებულებების შემოღებების*, *ზარალის ანაზღაურების* და *მოქმედი კანონის პირობების* მოქმედებაზე) და *ტრანზაქციებზე*, რომლებიც კვლავ დაექვემდებარება წინამდებარე *პირობებსა* და კონკრეტულ *პირობებს* (მოთხოვნებს), რომლებიც შეთანხმებულია ჩვენს შორის ასეთ *ტრანზაქციებთან* მიმართებით, სანამ არ შესრულდება ყველა ნაკისრი ვალდებულება.

30 გამონაკლისები და ვალდებულებათა შეზღუდვა

შეზღუდვის გარეშე, „ფიდელისი“ არ იღებს რაიმე სახის ვალდებულებას საბაზრო *პირობებში* ნებისმიერი გადადების / დაყოვნების ან ცვლილების მიზეზით, კონკრეტულად რომელიმე *ტრანზაქციის* რეალურად განხორციელებამდე. შეზღუდვის გარეშე, „ფიდელისი“ არ იღებს არანაირ ვალდებულებას ნებისმიერ *ტრანზაქციაში* ნაკულისხმებ არახელსაყრელ საგადასახადო *პირობებზე* / ნიშნებზე.

არც „ფიდელისი“ და არც მისი *თანამშრომლები* არ იქნებიან ვალდებული წინამდებარე *პირობებთან* მიმართებით, *კლიენტების* მიერ განეულ თუ მათ მიერ განცდილ ნებისმიერ დანაკარგზე, ზარალზე, ხარჯსა თუ ღირებულებაზე, რომელიც წარმოიშვება დაუდევრობით / უგულებელყოფით, ხელშეკრულების დარღვევით, შეცდომაში შეყვანით / შინაარსის დამახინჯებით თუ სხვაგვარად (მათ შორის, ნებისმიერი *ტრანზაქციის* ან იმ *ტრანზაქციის* ჩათვლით, როდესაც „ფიდელისმა“ უარი განაცხადა შემოთავაზებულ *ტრანზაქციაში* მონაწილეობაზე), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი დანაკარგი გონივრულობის ფარგლებში პროგნოზირებად შედეგს წარმოადგენს ან წარმოიშვება უშუალოდ „ფიდელისაგან“ ან მისი მხრიდან აშკარა დაუდევრობის, განზრახ დეფოლტის თუ გაყალბების შედეგად. არც ერთ შემთხვევაში არ ექნება „ფიდელისს“ ვალდებულება *კლიენტების* ან ნებისმიერი სხვა მესამე მხარის მიერ განცდილ ზარალზე ნებისმიერი განზრახ მიყენებული ან ლოგიკური ზარალის, მოგების დაკარგვის, გუდვილის დაკარგვის ან ბიზნეს შესაძლებლობის დაკარგვის გამო, რომელიც წარმოიშვება წინამდებარე *პირობებთან* მიმართებით ან ამ *პირობების* ფარგლებში; ასევე, ჩვენ არ გვეკისრება პასუხისმგებლობა არაფინანსურ ზარალზე (როგორიცაა, მაგალითად, ემოციური სტრესი / დეპრესია) ნებისმიერ

შემთხვევაში, რომელიც წარმოიშობა დაუდევრობის, ხელშეკრულების დარღვევის, ფაქტების დამახინჯების შედეგად ან სხვაგვარად. წინამდებარე პირობებში არაფერი შეზღუდავს ჩვენს პასუხისმგებლობას ჩვენი დაუდევრობის შედეგად გამოწვეულ სიკვდილსა თუ პირად ღაზიანებაზე.

„ფიდელისი“ არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტებისადმი თუ, ნებისმიერი მიზეზით კლიენტები მიიღებენ ნაკლებ მოგებას, ვიდრე კლიენტები იმედოვნებდნენ ან თუ მიაღწათ ზარალი დაუსრულებელი ქმედების შედეგად, რომლის დასრულებასაც კლიენტები ისახავდნენ მიზნად.

„ფიდელისი“ პასუხისმგებელი არ იქნება კლიენტებისადმი ჩვენ მიერ წინამდებარე დოკუმენტით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულებების ნაწილობრივი შესრულებით ან შეუსრულებლობით, თუ ამგვარი შეუსრულებლობა წარმოიშობა ჩვენს კონივრულ კონტროლს მიღმა არსებული მიზეზით, როგორცაა, შეუზღუდავად გადაცემის, საკომუნიკაციო თუ კომპიუტერული მოწყობილობების ნებისმიერი სახით მწყობრიდან გამოსვლა, დაყოვნება, გაუმართაობა ან შეუსრულებლობა (სრული ღაზიანება), გაფიცვა, ტერორისტული აქტები, ნებისმიერი სამთავრობო ან ზე-ეროვნული ორგანოებისა თუ დანესებულებების მიერ დადგენილი რეგულაციები თუ აქტები ან შესაბამისი შუამავალი ბოკერისა თუ აგენტის, მეორე მხარის, აგენტის ან მრწნეხელის, მეურვის, ქვე-მეურვის, დილერის, ბაზრის, საბანკო ანგარიშსწორების პალატის, მარეგულირებლის ან თვით-მარეგულირებელი ორგანიზაციის მიერ თავიანთი ვალდებულებების ვერ შესრულება, ნებისმიერი მიზეზით. არაფერი წინამდებარე პირობებში გამოირიცხავს ან ზღუდავს ვალდებულებას ან მოვალეობას, რომელიც „ფიდელისის“ შეიძლება ჰქონდეს კლიენტებისადმი მოქმედი კანონებისა და რეგულაციების შესაბამისად, რომლებიც არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს წინამდებარე დოკუმენტით.

31 ზარალის ანაზღაურება

კლიენტები გადაგვიხდიან იმ თანხას, რომელიც „ფიდელისმა“ შეიძლება პერიოდულად მოითხოვოს ნებისმიერი დებიტის ბალანსის დასაკმაყოფილებლად კლიენტების ნებისმიერი ანგარიშზე ზარალის სრული ანაზღაურების საფუძველზე, ნებისმიერი დანაკარგის, ვალდებულების, ღირებულების ან ხარჯის (კანონთან დაკავშირებული ხარჯების ჩათვლით), გადასახადების, ბაჟის ან სასამართლოს მიერ დაკისრებული ვალის გადახდისათვის, რომელიც შეიძლება განიოს „ფიდელისმა“ ან დაექვემდებაროს ზემოხსენებულს კლიენტების ნებისმიერ ანგარიშთან ან ნებისმიერ ტრანზაქციასთან ან ნებისმიერ სხვა შესაბამის ტრანზაქციასთან დაკავშირებით ბაზარზე, ან შუამავალი ბოკერის ან მეორე მხარის საშუალებით ან კლიენტების მიერ შინაარსის არასწორად გააზრების / ფაქტების დამახინჯების ან კლიენტების მიერ წინამდებარე პირობებით კლიენტების მიერ ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევით (ნებისმიერი ტრანზაქციის ჩათვლით) ან „ფიდელისის“ უფლებების სისრულეში მოყვანით.

32 მესამე მხარის უფლებები და ასიგნება

წინამდებარე პირობები იმოქმედებს ორივე მხარის სასარგებლოდ და იურიდიულ ვალდებულებას აკისრებს ორივე მხარეს და ასევე, ჩვენს შესაბამის მემკვიდრეებსა და ასიგნებს (უფლებათა მიმღებებს). კლიენტები არ მოახდენენ წინამდებარე პირობებით კლიენტების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ან წინამდებარე პირობებში მოცემული ნებისმიერი ინტერესის ასიგნებას, დაკისრებას ან სხვაგვარად გადაცემას, ასევე, არ განაცხადებენ ასიგნების, დაკისრების ან სხვაგვარად გადაცემის პრეტენზიას, „ფიდელისის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, სხვაგვარად ნებისმიერი ნაგარაუდები / ყალბი ასიგნება, დაკისრება ან ტრანსფერი მოცემული მუხლის დარღვევით ბათილად ჩაითვლება.

33 მთლიანი ხელშეკრულება

კლიენტები აღიარებენ, რომ კლიენტებს არ აიძულებს ან არ ანდეს წინამდებარე პირობებზე დათანხმება წინამდებარე პირობებში აშკარად და ცხადად მითითებულისგან განსხვავებული განმარტებებით / აღწერილობით. „ფიდელისი“ ვერ იქნება პასუხისმგებელი კლიენტებისადმი ისეთი განმარტება-

აღწერილობის გამო, რომელიც არ არის წარმოდგენილი წინამდებარე პირობებში (და რომელიც არ წარმოადგენს ნაყალბევს).

34 მმართველი კანონი და იურისდიქცია

ტრანზაქცია, რომელიც ექვემდებარება ბაზრის წესებს უნდა იმართებოდეს ამ წესების თანახმად მასზე (ამ ტრანზაქციაზე) მოქმედი კანონების შესაბამისად.

წინამდებარე პირობები იმართება და განიმარტება საქართველოს კანონის შესაბამისად.

მხარეებს შორის ურთიერთობაზე მოქმედი კანონი, წინამდებარე პირობების ამოწურვამდე, არის საქართველოს კანონი.

„ფიდელისი“ კლიენტები თანხმდებიან, რომ საქართველოს სასამართლოებს ექნებათ ნებისმიერი სარჩელის, სასამართლო პროცესის ან გარჩევის გადაწყვეტის იურიდიული უფლებამოსილება, წინამდებარე პირობებთან დაკავშირებით („სასამართლო გარჩევები“) და უცვლელად დაექვემდებარონ ასეთი სასამართლოების იურისდიქციას.

განრიგი A

სიტყვარი და ტერმინთა განმარტებანი

ბაზრის ანომალური პირობები

მდგომარეობა ჩვეულებრივი სავაჭრო საათების განმავლობაში, როდესაც შეუძლებელია ფირმის ფასის მიწოდება, მაგალითად, იმიტომ რომ მხოლოდ მცირე ოდენობით ან არც ერთი მთავარი ფასის მომწოდებელი არ ახდენს კოტაციას, ან ფასები ინვერტირდება (როდესაც შეთავაზებული ფასი აჭარბებს დანესებულ ფასს), ან ხდება ფასდაღების ანომალიები.

ანგარიში

ანგარიში, რომელიც კლიენტებმა ჩვენთან გახსნეს.

მოქმედი კანონები და რეგულაციები

საქართველოს კანონი ბაზრის უსაფრთხოების შესახებ, წესები, ნებისმიერი შესაბამისი ბაზრის წესები და სხვა მოქმედი კანონები, წესები და რეგულაციები, რომლებიც მოქმედებს / ძალაშია დროის გარკვეულ / კონკრეტულ მონაკვეთში.

საბაზო ვალუტა

ვალუტა, რომელშიც „ფიდელისი“ აწარმოებს კლიენტების ანგარიშის ბალანსს და რომელშიც „ფიდელისის“ გადაჰყავს კლიენტებისაგან ჩვენი მომსახურების სანაცვლოდ მიღებულ ანაზღაურებას / გადარიცხვებს და რომელშიც „ფიდელისის“ გადაჰყავს კლიენტებისათვის განხორციელებული ყველა ტრანზაქციის შედეგები.

სამუშაო დღე

დღე, რომელიც არ არის შაბათი ან კვირა და რომელშიც ბანკები ჩვეულებრივ გახსნილნი არიან და მუშაობენ ლონდონში.

ელექტრონული მომსახურება

ნებისმიერი ელექტრონული მექანიზმი, რომელსაც „ფიდელისი“ უზრუნველყოფს კლიენტებისათვის ან რომელზეც „ფიდელისი“ უზრუნველყოფს / ეხმარება კლიენტების წვდომას ჩვენთვის ინსტრუქციების მოსაცემად.

დაფინანსების ხარჯები

მოსაკრებელი, რომელსაც „ფიდელისი“ აკისრებს კლიენტებს, როდესაც პოზიცია ღიაა / გახსნილი რჩება დღიდან მეორე დღემდე.

ლევერაჟით დატვირთული ინსტრუმენტები

ინსტრუმენტი, რომლის პირობების თანახმადაც კლიენტებს შეიძლება დაეკისროთ დამატებითი გადასახადები (მოსაკრებლის გარდა, მარჟით დაცულობის მიუხედავად) როდესაც ტრანზაქცია ვერ სრულდება ან პოზიციის ნაადრევი ამოყიდვის შემთხვევაში.

მარჟა, მარჟის მოთხოვნა

თანხის ოდენობა ან სხვა სახის უზრუნველყოფა, რომლის გადახდაც კლიენტებს მოეთხოვებათ, როგორც უსაფრთხოების / გარანტიის გადასახადი და როგორც წინაპირობა, იმისათვის რომ კლიენტმა მონაწილეობა მიიღოს ტრანზაქციაში ან გაგრძელდეს ტრანზაქციის გახსნილი / ღია სტატუსი ჩვენთან.

ბაზარი

რეგულირებული ბაზარი, მრავალმხრივი ვაჭრობა, ორგანიზებული სავაჭრო ობიექტი ან მსგავსი დანესებულება.

ღია პოზიცია

კლიენტის პოზიცია ან ნებისმიერი ტრანზაქციის ზემოქმედების ქვეშ ყოფნა, რომელიც არ დასრულებულა ან არ არის ჯერ გადახდილი/ შეთანხმებული.

შეკვეთა

კლიენტების მიერ მოწოდებული შეთავაზება ტელეფონით ან ელექტრონული მომსახურების საშუალებით „ფიდელისთან“ ტრანზაქციის წამოწყების თაობაზე.

პირობები

წინამდებარე დოკუმენტი, ყველ განრიგის ჩათვლით და ნებისმიერ ელექტრონულ მომსახურებასთან დაკავშირებული პირობები, პერიოდული შესწორებების ჩათვლით.

ტრანზაქცია

წინამდებარე პირობებით განხორციელებული / გათვალისწინებული ნებისმიერი ვალუტასთან დაკავშირებული ტრანზაქცია, წინასწარი შესყიდვების, ოფციონის, სხვაობაზე ხელშეკრულების, ნებისმიერი სახის „spot“ ან „forward“ ხელშეკრულების ჩათვლით.